

ცრიბონა

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 398 პარაკევი, იანვრის 19 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10 000

გაზეთი „ცრიბონა“ ღირს

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6

ტელეფონი 10-34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების პირობები

1 გვ. 20,000 მან. ნაბეჭდი

4 „ 10,000 მან. ნაბეჭდი

სამხლოპირატი განცხადება

1 გვ. 500,000 მან.

4 „ 300,000 „

ყოველდღიური საბჭოთა სალიტერატურო გაზეთი

„ცრიბონა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ელიტა ხელის მფლობელთა და სახელმწიფოების და სახელმწიფოების

თვიურად 200 000 მან.

ცალკე ნომერი ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთის ჰაყვს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უწყვეტისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

დღეს, 19 იანვარს

ხველა სარაიონო კომისარიათაგან და ლიდავა სა-
კრძალს სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.

ფედერალური მთავრობა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა აღმასრულებელი კომიტეტის სესიის დამთავრება. ფედერალური მთავრობა ამირჩეულია ამ. მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით. აღმასკომის კონსტრუქცია მოხდენილია. კონსტიტუცია დამტკიცებულია, მოვალეობანი და ვალდებულებანი ჩამოყალიბებული.

გურჯანის და შავი ზღვის ბრძალვებში მოქმედი რესპუბლიკები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ნიადაგზე იწყებენ ახალ ცხოვრებას, კაცობრიობის უშიშარი ჯერ არ არსებულ ისტორიის ფურცლებს წინა აზიდან.

რა ბედი მოელოს ფედერალურ მთავრობას? საით გადასტყორცნოს თანამედროვე მსოფლიოს ბოლოქარი ცხოვრება ფედერალური მთავრობის შემოქმედების ისარს და როგორ შესძლებს იგი ისარი მუხანათ მტრების განგმირვას?

ეს პოლიტიკური ამოცანა ყველა ტიპის მთავრობის უმთავრესი საკითხია განსაკუთრებით ისეთს ქვეყანაში, რომელსაც ხსენებული ამიერ-კავკასია წარმოადგენს...

რასაკვირველია ამიერ-კავკასია, სწორედ ისე, როგორც საქართველო ერთს წუთს ვერ იტოვებს პოლიტიკური სხეულის სიმთვლით თუ იგი არ დაეყრდნოდ რომელიმე მძლავრ ორგანიზაციას მსოფლიოს ბუქს ხასიათს რომ ატარებს.

პატარა სახელმწიფოებს იმდენად შეუძლიან არსებობა რამდენადაც ისინი რომელიმე კოალიციას გარკვევით და გადამტყორცნობენ. მენშევიკური მთავრობა „ხალხთა ლიგაში“ ასვენებდა თავის ნერვებს, მაგრამ ხანგამოშვებითი ოპორტუნისტული ხეტიალი მენშევიკებისა ერთი მიზეზთაგანი იყო იმ გარემოების, რომ ანტანტაც ვერ უზღავნიდა თავის მორჩილთა გრძობათა მთელს კონას.

ასეთი ოპორტუნისტული სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დაუშვებელია. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში ამ ოპორტუნისტებს გასაქანი არ ექნება. საქართველო და ამიერ-კავკასია იარსებებენ იმდენად, რამდენადაც „გადამტყორცნებიან“ საზოგადოლო საბჭოთა რესპუბლიკები და ისე პირიქით, საბჭოთა სისტემის დანგრევა სამარეა მთელი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

მემარჯვენე ფედერალისტები ამბობენ: საქართველოს განვითარება საბჭოთა წყობილებითაც შეიძლება. დღეს კი აშკარაა—არა თუ „თაც“ შეიძლება, პირიქით, მხოლოდ საბჭოთა წყობილების გზით შეიძლება.

ამგვარად უმთავრესი ცდა ამიერ-კავკასიის ფედერალური მთავრობისა უნდა იყოს განმტკიცება საბჭოთა სისტემისა და მავრად ხელის ჩაკიდება საბჭოთა რესპუბლიკების, რომელნიც დღეს წარმოადგენენ მთლიან ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ევროპაში ამ ჟამად შემდეგი პოპულარული ლოზუნგია გადასროლილი ბრძოლა მუშათა მთლიანი ფრონტისათვის. ჩვენში ეს ლოზუნგი იღებს სხვა სახეს: ჩვენ გვჭირია მთლიანი საბჭოთა ფრონტი კაპიტალისტურ წყობილების დიქვიდაციისათვის.

ეს არის ლეიტ-მოტივი ფედერალური მთავრობის საგარეო პოლიტიკისა. მაგრამ შესძლებს კი ფედ. მთავრობა საბჭოთა ფრონტის გაერთიანებას?—ესე იგი ფედერალურ კონსტიტუციის შენარჩუნებას?

ამიერ-კავკასიის ფედერაციის და ფედერალური მთავრობის მერტად ცუდი წარსული აქვთ. ჩვეულებრივად ამიერ-კავკასიის ფედერაციის დანგრევის 1918 წელში მხოლოდ ნაციონალური მოტივით ხსნიან, ესე იგი იმ მოტივით, რომ შეუძლებელი შეიქმნა თათრის, სომხის და ქართველის, როგორც ნაციონალურ ერთეულთა კოორდინაცია.

ხელს უშლის თუ არა ნაციონალური დისტანციები ფედერაციის განმტკიცებას? ამ კითხვის პასუხად ჰორომ ვსთქვათ მისი ლოლიკური შედეგი იქნებოდა ნაციონალურ მომენტების ნულიფიკაციით მიღწევა პოლიტიკური კონსოლიდაციისა, ესე იგი ნაციონალური პოლიტიკის უარყოფა.

სამწუხაროდ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ზოგიერთი კომუნისტები ექვემდებარებიან მენშევიკურ საზოგადოებაში გავრცელებულ ამ აზრს და ნაციონალურ პოლიტიკის იგნორაციით ფიქრობენ მთავარი სახელმწიფოებრივი ამოცანის შესრულებას.

ეს აზრი ძირითადად შემცდარია. ნაციონალურ მომენტს კი არ დაურღვევია ამიერ-კავკასიის ფედერაცია, სწორედ ისე, როგორც ნაციონალურმა მომენტმა ერ დაარღვია ფედერაცია შევიცარიისა, გერმანიის ან ამერიკის. ამიერ-კავკასიის ფედერაცია დაარღვია კლასობრივ პრინციპში, ესე იგი იმ კლასობრივ განსხვავებამ, რომელიც არსებობდა მენშევიკურ, მუსავატურ და დაშნაკურ რესპუბლიკათა შორის.

სხენებულ რესპუბლიკათა კლასობრივმა სხვაობამ დაარღვია პოლიტიკური პარტინა და მიიყვანა ისინი სეპარაციამდე. ესე იგი ამ ჟამად არსებული პოლიტიკური და კლასობრივი იდეოლოგია მთელს ამიერ-კავკასიაში გარანტია ფედერაციის განმტკიცების, მისი სოციალისტური ხოლო „ნაციონალური მომენტი“ მთლიან პოლიტიკურ ფონზე გამოიწვევს ფედერაციის გაძლიერებას.

აქედან ჩვენი შეხედულება სახელმძღვანელო აზრი არსებობს ფედერალურ მთავრობისათვის: წარმოება მტკიცე სოციალისტური პოლიტიკისა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე, ხოლო ამ ნიადაგის გაპოხიერება სალი ნაციონალური შემოქმედებით სრულყოფს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

აქედან ჩვენი შეხედულება სახელმძღვანელო აზრი არსებობს ფედერალურ მთავრობისათვის: წარმოება მტკიცე სოციალისტური პოლიტიკისა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე, ხოლო ამ ნიადაგის გაპოხიერება სალი ნაციონალური შემოქმედებით სრულყოფს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

აქედან ჩვენი შეხედულება სახელმძღვანელო აზრი არსებობს ფედერალურ მთავრობისათვის: წარმოება მტკიცე სოციალისტური პოლიტიკისა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე, ხოლო ამ ნიადაგის გაპოხიერება სალი ნაციონალური შემოქმედებით სრულყოფს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

ამბობენ ფედერალური მთავრობა ინტერგულურ პრინციპების მთავრობა. ვისურვებთ, რომ ინტერგულური პრინციპები შემტყველი არ ყოფილიყოს დენინტერგულურ დებულებათა.

ტფილისის ელექტროფიკაცია და სოც-ლიგასიო სესხი

ისტორიული საქმე, რომელსაც უდიდესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს—ტფილისის ელექტროფიკაცია.

რკინის გზის გარდა მთელი საქართველოს ნავთის მოთხოვნისთვის სამ მეოთხედს მარტო ქალაქი ტფილისი ხარჯავდა. დღემდე ტფილისი და საქართველო სავსებით დამოკიდებული იყო აზერბეიჯანის ნავთიან ადგილებიდან.

მხოლოდ ტფილისის ელექტროფიკაცია გაანთავისუფლებს მთელ საქართველოს ნავთის საქრობიდან.

ჩვენი მორიგი ისტორიული ამოცანაა საქართველოსთვის საჭირო სათბობი მასალა თვითვე საქართველოშივე შევიძინოთ.

სათბობი მასალის მოგვარება უმთავრესი საკითხია ყოველგვარ საადგილობრივ მრეწველობის განვითარებისთვის კიდევ მეტი, თუ ჩვენ გვექნება ჩვენი სათბობი მასალა ჩვენ გვექნება ყოველგვარი კულტურა, ჩვენ ვიქნებით თავისუფალი და დამოუკიდებელი, საიმანავო ერი ყოველ კულტურულ ერისათვის.

შეიძლება თუ არა საქართველომ თავის წარსულშივე მოიპოვოს საკუთარი სათბობი მასალა?

— შეიძლება! კიდევ მეტი, ჩვენ გვაქვს ყველაზე მდიდარი სათბობი მასალა, რომელიც მთელ ამიერ-კავკასიის მოთხოვნისადაც დაკმაყოფილებს თავისი დღევანდელი საჭიროებით.

— ეს არის ჩვენი წყალი, ჩვენი მდინარეები. მეცხრამეტე საუკუნე ნავთის საუკუნე იყო, მეოცე საუკუნე არის წყლის ძალის გამოყენების საუკუნე.

ამერიკამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში წყლის ძალის გამოყენება გააძლია ასი ათასი პროცენტით. ამერიკას დღეს მსოფლიოს სამი მეოთხედი წყლის ძალა აქვს დამუშავებული.

საოცარ სამომავლო სურათს გვიშლის წყლის ენერგია. გერმანია აშენებს წყლის მოძრავ სადგურებს ორასი ვერსტის სიშორეზე და იქიდან იღებს ელექტრონს.

ლამის არის მთელი ევროპა მოიფონოს მიდრავლიურ სადგურებით.

პირველობისათვის ნავთი და ნახშირი სასარგებლო აღარ ხდება. მათ წყალმა წარათვა პირველობა და მნიშვნელობა.

წყლის ძალით უნდა ამოძრავდეს ყოველგვარი ქარბანა, სახელისნო, დაწესებულება. წყლის ძალით უნდა ამოძრავდეს რკინის გზა, მთელი ტრანსპორტი.

წყალის გამოყენება!—ჩვენი თანამედროვე სიყვარულის საგანია, წყალია ჩვენი მომავალი, ჩვენი საფუძველი, ჩვენი თავისუფლება.

წყალმა უნდა გაუთბობს ჩვენს დისახლის სამზარეულო, წალმა უნდა გაანათოს ოჯახი, კერა, წყალით უნდა ამოძრავდეს გუთანი, წყალმა უნდა შესრულოს ყოველივე ის საქმე, რომელსაც დღეს მოქალაქე ავადებს ცეცხლს, ნახშირს და ნავთს.

შესაძლოა ამ წერილში წარმოვიდგინოთ ის რეკლიუტია, რომელიც შეუძლია ჩვენს ცხოვრებაში წყალმა მოახდინოს?

— შეუძლებელია! თუ საბჭოთა წყობილება შესძლებს ამ საქმის დაწყებას და მოგვარებას მაშინ მარტო ამისათვის საკმაო იქნებოდა ის პოლიტიკური გადატარებულება, რომელსაც საქართველოში ადგილი ჰქონდა საბჭოთა ძალა-უფლების სასარგებლოდ.

50 წელიწადია წყლის ძალის გამოყენებისათვის წერა და ლაპარაკია საქართველოში.

არც ერთს რეჟიმის დროს წერა და ლაპარაკი არ შეცვლილა საქმით და პრაქტიკული მუშაობით.

მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს შეიძლება წერა სიტყვით, სიტყვა საქმედ, აზრი მოქმედებად.

ციბები შემტყველი არ ყოფილიყოს დენინტერგულურ დებულებათა.

ტფილისის ელექტროფიკაცია და სოც-ლიგასიო სესხი

ტფილისმა პირველად აღმართა დროშა წყლის ძალის გამოყენებისა მრეწველობის ფართო მასშტაბით.

ჩვენ ძალიან დიდსა და მძიმე საქმეს მოვიკიდეთ ხელი. ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით. მაგრამ ისიც ვიცით, რომ როგორც ამ საქმეს გავაქეთებთ სხვა სადგურების აშენება იმდენა მეტად ადვილი საქმე.

ჯერ-ჯერობით გავეთვალა მეტად დიდი და პასუხსაგები ნაწილი მუშაობისა. სავსებით დამთავრებულია ტენიკური თეორეტიული ნაწილი, თვით სადგურის ალაგას—ზეგო ავქალაში მთელი სოფელი გაშენებული, დიდი ძალი სადამშენებლო მასალა და სამუშაო მანქანა.

1924 წელში უნდა დამთავრდეს ეს სადგური, რაიცა მისცემს ქალაქს უწყვეტ სიმშრავას და მთელ ქვეყანას გაუშლის უმავალითო სასარგებლო პირობებს მუშაობისათვის.

საქართველოს საუკეთესო ტენიკური ძალები ჩათრეულია ამ დიდი საქმის კეთილდღეობისათვის. ყველა პარტიის ყველა სპეციალისტი თავს დატრიალებს სადგურის აშენებას.

ევროპის ფირმის წარმომადგენლები ტფილისში არიან და ელანა შეკვეთის მიზნებს. გერმანიის საუკეთესო პროფესორებს გაშინჯული აქვთ მთელი ჩვენი მუშაობის სქემა და გერმანიიდან მოდიან ინსტრუქტორები, რომელნიც უშუალოდ გაუწევენ მეთვალყურეობას და ხელმძღვანელობას სადგურის აშენების საქმეს.

საქმე გაჩაღებულია—იგი უნდა დავამთავროთ. პერანგიც უნდა გავიძროთ და ელექტროფიკაცია განვახორციელოთ. უკანასკნელი ლუკმა შუაზე გავყოთ და ამ საქმეს მოვახმაროთ.

ჩვენ ყოველ მოქალაქისაგან მოვითხოვთ ამ საქმეში უდიდეს ზნეობრივ და ნიეთიერ დახმარებას.

არა თუ განზე დავიშა, პირიქით, ვინც არ გვეზარება ყოველივე მხრივ ჩვენ მიგვანინა გაუსწორებელ დამანაშაველ მთელი ქვეყნის წინაშე.

ჯერ-ჯერობით და ჩვენ ვფიქრობთ საქმის დასრულებამდეც, მთელი ხალხის სიმბატია ამ საქმეში ჩვენს მხარეზეა.

სამოქალაქო გადასახადი, რომელიც დღეს ტარდება ტფილისში სადგურისათვის საუკეთესო მოწოდება მთელი ხალხის მხურვალე სიყვარულისა და თანაგრძობისა ჩვენდამი ამ საქმეში.

არც ერთი გადასახადი არ გატარებულა ტფილისში ისეთი აღფრთოვანებით, როგორც სამოქალაქო გადასახადი.

გადასახადის გადახდის დროს არის ისტორიაში აღსაბეჭდი მომენტები, როცა გადახდელი გატარებები იღებს თავის წყლის იმ შემთხვევაშიც, როცა მას ან სულ არ ეხება გადახდა, ან ეხება, მაგრამ ნაკლებად.

18 იანვრისთვის შეკრებილია 15 მილიარდი მანეთი. ჩვენ მოველით, რომ ფულის შეგროვება ჯერ კიდევ სათანადოთ წარმოებდეს.

მაგრამ ეს თანხები მეტად უმნიშვნელოა, რომ ჩვენ ამ ფულს დავეყრდნობოთ მოსვენებას მივიცეთ.

— ჩვენ მაშინ მოვიხვენივთ, როცა სადგურის სინაოლით განათდება მთელი ტფილისი! მანამდისინ ჩვენ დღით და ღამით უნდა ვიმუშაოთ, რომ ფულის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნათ მუშაობას.

ამისთვის ჩვენ ვებულებოთ ყოველგვარ ზომებს, რომ ფულის მხრივ შეჩერებას ადგილი არ ექნეს. ამ ისტორიულ საქმეში საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობანი დიდად გვიწყობენ ხელს. მთავრობამ 600 ტრფილისის მისცა ამ საქმისთვის 150 ათას მანეთი ოქროთი, ჯარმა დაუთმო დინამიტით და მეტად ძვირფასი ტენიკური ხელსაწყო.

რუსეთის მთავრობამაც გადასცა 750 ათასი მანეთი ოქროთი.

ჩვენი მხრივ ამ ჟამად გემუშაობთ, რათა კიდევ სახალხო წყაროს მიგმართოთ, ეს არის ქალაქის პირველი საბჭოთა საბოლივაციო სესხის გამოცემა მოკლე ვადით ერთი მილიონი თანხისა.

საბოლივაციო სესხი ახალი საქმე არ არის ტფილისიდან. 1881 წლიდან. 1910 წლამდე ტფილი ქალაქის ბურჟუა მამებმა ოთხჯერ გამოუშვეს სესხი, მაგრამ მათი სესხი უფრო მეტად გოროდოვოს და „ლოლოვას“ ჯამაგირებს ხმარდებოდა ვიდრე უარეს სახალხო საქმეებს.

საბოლივაციო სესხმა მთელი ქალაქის და ქვეყნის ყურადღება და ინტერესი უნდა მიიპყროს. საბოლივაციო სესხი ლოტრეტი არ არის, რომ ერთის მოგებას შეეწიროს ბევრის წაგება. ობლივაციის პატრონს რეალური ტალღები ექნება ხელში, რომელიც მოუტანს ყველას განსაზღვრულ დიდ პროცენტს ვიდრე რომელიმე ბანკი მისცემს ფულის მიმბარებელს და განსაზღვრულ ვადებში კი თავის დაუბრუნებს. ამავე დროს საბოლივაციო სესხი გარანტიაა, რომ ფულის მეპატრონეს შეენახება თავისი ქონება, ობლივაციებში მოქცეული კურსის დაცვიდან, ხოლო საერთოდ საობლივაციო სესხი მუშაობის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

არსებითად სადგურის აშენება გზა და გზა იწყებს მთელ რიგ საფინანსო და სამეურნეო გამოცოცხლებას და ყოველმხრივ ხელს უწყობს ქვეყნის აყვავებას და განვითარებას.

საბოლივაციო სესხის გამოცემა საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენში პირველი საქმეა. ჩვენი მოვალეობაა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ მას. ავსწიოთ მისი ავტორიტეტი, მნიშვნელობა და ამ გვარად შეუქმნათ საქართველოს სხვა ქალაქის აღმშენებლობას ის წყარო, რომლითაც მათ შეეძლება საწარმოო ძალების განვითარება.

ამგვარად ელექტროფიკაცია, როგორც მიზანი, ხოლო მინაწერი საობლივაციო სესხი—საშუალება საუკეთესო სარბიელი დიდი სახალხო მუშაობისათვის და ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ პირველსაც და მეორესაც ხალხი და მთავრობა უდიდეს ყურადღებას მიაქცევს.

თელე ლლონტი.

ნარკვევი


პარტიული ჯგუფები ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შემდეგ.

მოსკოვის ვახ. „პრავდას“ მოყავს წერილი ამერიკიდან, რომელიც ეხება იქმურ პარტიულ განჯგუფების არსებულ ვითარებას და ამერიკელი ამომრჩევლის განწყობილებას, მოგვყავს ეს წერილი გემოკლებით.

ამერიკელი ამრჩევლის უკმაყოფილობის აშკარა ნიშნები ჯერ კიდევ 1921 წ. და კიდევ უფრო მეტად 1922 წ. ჩანდა თუმცა რესპუბლიკანებმა და იანარჩუნეს უმნიშვნელო უმრავლესობა როგორც პალატაში, ისე სენატში, მაგრამ მათი დამარცხება მაინც სავსებით იყო. დემოკრატები, რომელთაც მრავალი ადგილი მიიღეს, —ზეიმობდნენ, მაგრამ ისინიც ვერ ბედავენ უფროდ არჩევნებს დემოკრატების წინააღმდეგ. ყველა თანხმად იმ აზრისა, რომ ამომრჩევლებმა გამოიჩინა ნერვიულობა და სასტიკი უკმაყოფილება; ის ერთი მხარით მორისიკენ ქანაობდა და არ აჩენდა თავის ნათელ პოლიტიკურ აზრს. ასეთ გარემოებას ქონდა ადგილი განსაკუთრებით დასავლეთ და შუა შტატებში.

ამერიკა ნულ-ნულა იღვიძებს ომის შემდეგ რეაქციონარს. რესპუბლიკანების შეცდომა დემოკრატებით და პირიქით, არ ახალბა ამერიკისათვის. ახალი ამ არჩევნებში მდგომარეობდა „დამოუკიდებელთა“ რიცხვის ანუ „პროგრესისტების“ ზრდაში და იმ როლში, რომელიც შესარულია ევროპების და მუშების კომინიციამ.

სენატორ ლაფოლტებმა, რომლის გამოძიებაც სურდათ სენატიდან ომის დროს და რომელსაც არ ამართლებდნენ მისი „მოლოდინური“ სიტუაციის გამო ომის წინააღმდეგ, არა თუ მიიღო დიდი უმრავლესობა (300.000) თავის ფერმერულ შტატში, არამედ მოიპოვა მუშაბელი სამი შტატიც, გამოვიდა სიტყვე-



ბით და ემბარგოდა შიშტეტის (ფერ-მერ-დობორ), ფრეიზერის (უპარტიო ლი-გა) და ბრუკარდის (პროგრესული რესპუბლიკანელები) არჩევას. ყველა ისინი არჩეულ იქნა და ახლა, ბუნებრივად ლაფოლტეტი შეიქნა „სახალხო სენატორი.“

ლაფოლტეტი, მეტად მკაცრად გამოდიოდა კაპიტალის მონოპოლიის, ტრესტების და სინდიკატების, ტარიფების და რეაქციონური პოლიტიკის წინააღმდეგ. ლაფოლტეტი წამოაყენა შედეგი საერთო პროგრამა: ხარჯების შემცირება ჯარისა და ფლოტზე, ხარჯების შემცირება: იმ ფულადი უკან დაბრუნება, რომელიც ხაზინამ დაკარგა ყანა-ლურ სამხედრო კონტრაქტებზე, ყოველივე „აკრძალვით“ გაუქმება მუშათა გაფიცვის დროს; შესწორება კონსტიტუციაში, რომლითაც იმის გამოცხადება თხოვლობა წინასწარ რეფერენდუმს, გაძევება სენატორი ნიუბერგისა, რომელიც სენატში იმის გამო მოხვდა, რომ აუბრებელი ფული დახარჯა, აქამდე ლაფოლტეს თვლიდნენ ერთადერთ „ემბარსენ-ნეთ“ სენატში; ახლა კი მისთან არის მთელი ჯგუფი. ლაფოლტეტი ძლიერი ხდება ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში.

შიშტეტის არჩევა ფორმერ-ლაიბორის სიით იმის გამო მოხდა, რომ ორი წლის წინდ ფერმერული ელემენტები უპარტიო ლიგა“ გერმანიისა და „მუშათა უპარტიო პოლიტიკურ ლიგასთან“ ქალაქში, ამ გაერთიანების მოძრაობამ სოფლისა და ქალაქის უკვე მოიცვა მთელი რიგი შტატებშია. ეს გაერთიანება არის ახალი ამ არჩევნებში, რომელიც აერთიანებს რეაქციონერებს; კონსერვატიული პრესა დაიმედებულია, რომ მოძრაობა არ გაფართოვდება, რადგან ფერმერების და მუშების ინტერესები სხვადასხვაა.

პროგრესული ელემენტები, რომლებიც აღკვეთიანებული არიან მიღებული შედეგებით, შემდეგ ნაბიჯებს სდგა-

მენ ყველა პროგრესული ძალების გაერთიანებისათვის- მათი ამოცანაა- გამოიმუშავენ პლატფორმა და ეცადონ თავს მოახვიონ ის არჩეულ პარტიებს ახალი მესამე პარტიის შექმნის მუქარით, შიშტეტის არჩევა ფერმერ-ლაიბორის სიით იმედს სოციალისტებს და ფარმერ ლაიბორს, რომ შექმნან მუდმივი და ფართო ბლოკი. ამის გარდა სხვა და სხვა რადიკალური ელემენტები ცდილობენ გაერთიანებას მუშათა პარტიაში („ლაიბორ-პარტი“). ამ მიმართულებით ცდები სწარმოებს მთელ რიგ შტატებში და შტატ ნიუ-იორკში- ასეთი პარტია უკვე არსებობს.

განსაკუთრებით დიდი ხმაურობა გამოიწვია ლაფოლტეს მიწოდებამ პროგრესულ მოღვაწეებისა და კონგრესის წევრებისადმი პლატფორმის გამომუშავება და მომავალი მოქმედების გეგმისათვის.

პრესამ, რომელიც გამოიყვანა მესამე პარტიის შექმნის მუქარადან, დაიწყო წერა მასზე, რომ მესამე პარტია შეუძლებელია.

რუხველტის ცდამ და მისმა პროგრესულმა პარტიამ 1912 წ. დაამტკიცა, რომ ასეთი პარტია მინამ არსებობს, სანამ მისი ლიდერი არსებობს, არ არის არავითარი სპეციალური მიზნები, რომ ამ მესამე პარტიის სიკოცხლე მისცეს. პრესამ ლაფოლტეს მანერა განიხილა როგორც დასაშინებელი რესპუბლიკანელებისათვის. ასეთი ახსნა ყველაზე უფრო ახლოსაა სიმართლესთან.

არ უნდა იქნეს დაიწყებული, რომ 1924 წელი, წელი საპრეზიდენტო არჩევნებისა ახლოვდება, ხოლო ამერიკული საარჩევნო მანერები და მზადება არჩევნებამდე ძალიან ადრე იწყება. არაფერი არ არის სიღულღლო მასში, რომ დაფოლტეტი, ბარონი, ჯონსონი და ფრანსიცი, საიდუმლოდ ფიქრობდნენ პრეზიდენტობის შესახებ. ამიტომ მათი ბრძოლა პარტიული მანქანის დასაპყრობათ, განსაკუთრებით ახლა, სავსებით გასაგებია.

გამო, რომ ინგლისში აუარებული მუშებს არ აქვთ საშუალო.

საკონტრაბუნდო კომისიაში.
ზორდო. იანვ. 18. პარლამენტი განხილავს საკონტრაბუნდო კომისიის მოწვევას. ბენზოლის მოწოდების საკითხის განსახილველად.

წამოსვლათ.
ზორდო. 18 იან. რუის ოლქის დეკავების გამო გან. „დება“ სწერს: „პოლიტიკური თამაში, რომელიც ეხლა სწარმოებს გაცილებით აღმატება ნახშირის საკითხს“. შემდეგ ვაზეთი იმით ათავებს თავის წერილს, რომ ამბობს: „ჩვენ წინაშე სდგას (დამახინჯებული) გერმანია“.

ფინანსიურ ბაზრის მოსვენება.
ზორდო. 18 იან. ვაზ. „ტანი“ აღნიშნავს ფინანსიურ ბაზრის მოსვენებას და სწერს, რომ ერთადერთი საშუალება ამის წინააღმდეგ არის ის რომ აძელონ გერმანია ვადაიხადოს კონტრაბუნდო.

ახალი რეკვიზიცია
ზორდო. 18 იანვ. პუანკარეს და ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად საფრანგეთში უნდა მოახდინოს რეინის გეშთა ფლოტილის და რეინის გზის ხაზის რეკვიზიცია. პარიზის პრესა იტყობინება, რომ სარეკვიზიციო ზომები უკვე ტარდება ცხოვრებაში. მრავალი ბავარიაში მიმავალი ნახშირი და დატვირთული მიმარბლები, შეაჩერეს და გაგზავნეს საფრანგეთში.

რუში შექმნილ მდგომარეობის გამო
ზორდო. 18 იანვ. ლონდონიდან იტ-

ყობინებია, რომ რუის ოლქში შექმნილ მდგომარეობის გამო, ლორდ კერონი გაიშვება ლონდონში.

იტალიის მონაწილეობა ოკუპაციაში
პარიზი, 18 იანვ. „უფრანსი“ იტყობინება, რომ იტალია, აუცილებლად და უფრო მჭიდროდ შეუერთდება საფრანგეთის მიერ რუის ოლქში მიღებულ ზომებს. იტალიის დელეგატები მოკავშირეთა უმაღლეს კომისიაში ვაიფართოვებენ ამ მხრივ თავის რწმუნებებს და პასუხისმგებლობას და იტალიელები მონაწილეობას მიიღებენ რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაციაში.

გერმანიის ტყის განადგურება
ლიფცილი 18 იანვარი. ბერლინიდან მიღებულ ცნობებით საფრანგეთის საკონტრაბუნდო კომისია ჩავიდა ემბლენში ამ ნავთსადგურში ნახშირზე კონტროლის გასაწვევით. საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის მთავრობებმა ბრძანება გასცეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ რეინის მარცხენა ნაპირების სახელმწიფო ტყეების ექსპლუატაციას.

გერმანია უნახშირობა.
ლონდონი, 18 იანვ. ფრანგები, რომელთაც დააწესეს სრული კანტროლი რუის ოლქში, ფიქრობენ აკრძალონ გერმანიის დანარჩენ ადგილებში ნახშირის გაზიდვა მანამ, სანამ შესრულდება არ იქნება ყველა საკონტრაბუნდო ვალდებულებანი. მუშებისათვის ხელფასის მისაღებად საოკუპაციო ხელის უფლება ფიქრობს იმ ვადასახადი 40 პროცენტის ჩამორთმევას, რომელიც შეგროვებულია რუიდან გაზიდულ ნახშირზე.

ლოზანას კონფერენცია

საკითხი სრუტეების შესახებ
მოსკოვი 18 იანვარი. მოკავშირეებსა და ოსმალეთის დელეგატებს შორის გრძელდება არაოფიციალური მოლაპარაკება სრუტეების და გალიპოლის საკითხის შესახებ. მოკავშირეები კვლავ ცდილობენ ჩამოაშოროს ოსმალეთი ამ მოლაპარაკებას.

საკითხი კეპიტულიციების შესახებ
მოსკოვი 18 იანვარი. ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო ანგარიხი ინსტრუქცია შეინარჩუნოს შეურთებელი პოზიცია კაპიტულიციების და სამხედრო ზარალის ანაზღაურების საკითხების შესახებ.

გერმანიის აზრები

დემონსტრაცია მიუნხენში
მოსკოვი 18 იანვარი. მიუნხენში ნაციონალისტები თავს დაესხნენ პროკავშირეების მიერ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციას, რუის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ. კოლიციამ ნაციონალისტებთან ერთად გარეკა დემონსტრაცია. იყო ცივი იარაღის ხმარების შემთხვევა.

ლიბანეტის ხსოვნის აღნიშვნა-ზეიმის აკრძალვა
მოსკოვი 18 იანვარი. მიუნხენში ხელისუფლებამ აკრძალა ლიბანეტის ხსოვნის აღსანიშნავი ზეიმი.

მოსული
მოსკოვი 18 იანვარი. ანატოლიის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება,

რომ ინგლისის საპარო ფლოტი 1 ნახ. საათის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა მოსულის რაიონებს. ყუმბარების მიერ ვადამწვარია ქალაქი რეინდენი. რაიონებში ჰავროლანებმა დაანგრიეს ყველა სოფლები, აჯანყებულებმა ჩამოგდეს 2 ჰავროლანი.

კონსტანტინეპოლში
მოსკოვი 17 იანვარი. რიტერის სააგენტოს ცნობით კონსტანტინეპოლში მოხდა შეტაკება ოსმალებსა და ინგლისის ჯარის კაცებს შორის მიმედ. დაპირება 2 ინგლისელი.

ბერძნების მოქმედება
მოსკოვი 18 იანვარი. ბელგადიდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად ბერძნებმა დაიკავეს ადრიანოპოლი და კარაგაჩი.

უცხო დეიტი

კავშირი კომპარტისთან იტალიაში
მოსკოვი. 18 იან. ბოლონის ჯგუფის სერატის სექცია თანახმაა შეუერთდეს კომპარტისს.

კომუნისტების დევნა იტალიაში
მოსკოვი. 18 იან. ლიგორნოში დაპატრიარქულია ასზე მეტი კომუნისტი, რომელთაც ბრალდებათ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება.

მემელი
მოსკოვი. 18 იან. ლიტოველებმა გამოაცხადეს მემელში განსაკუთრებული მდგომარეობა და დააპატიმრეს ბუგო-მისტრი. გერმანიიდან იტყობინებია რომ ფრანგები აჯანყებულებისადმი პასიურობას იჩენენ.

უმუშევრები ვენაში
მოსკოვი. 18 იან. უმუშევრებმა გამართეს ვენაში დიდი მიტინგი ორატორები ილაშქრებდნენ მთავრობის წინააღმდეგ და უსაყვედრებდნენ პროფკავშირებს, რომ ისინი უმოქმედობას იჩენდნენ უმუშევრობის საკითხში მიტინგმა მიიღო კომუნისტური ხასიათის რეზოლიუცია.

უმუშევრები ინგლისში
მოსკოვი. 18 იან. ბონარლოუმ ხელახლა სთქვა უარი უმუშევართა დელეგაციის მიღებაზე.

ფრონტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ ინგლისში
მოსკოვი. 18 იან. ინგლისის მუშათა წრეები დიდ საგონებელში ჩაგვრდნენ კაპიტალიზმის გალაშქრების გამო 8 საათის სამუშაო დღის და მრეწველობის სხვა და სხვა დარგებში ხელფასის წინააღმდეგ მუშები მოითხოვენ ერთიან საბრძოლველ ფრონტის შექმნას მწარ-

მოებელთა შემოტევის წინააღმდეგ 24 იანვარს გაიმართება ტრედუნიონების მთავარი კონგრესის სხდომა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების განსახილველად.

მემელი
საფრანგეთის ახალი მინისტრია მოსკოვი. 18 იან. დღეს დილით ეიუელი კამბოლოს თავმჯდომარეობით გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიმართა ელჩების კონფერენციის სხდომა კონფერენციამ დაადგინა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მემელში საგანგებო კომისია, რომელსაც უფლება ექნება შეადგინოს ის ახალი მთავრობა, რომელიც იქნება მოკავშირეთა კანტროლის ქვეშ და მიზნად დაისახავს მშვიდობიანობის და წესრიგის აღდგენას საგანგებო კომისიამ უნდა წარუდგინოს ელჩთა კონფერენციის მოხსენება მემელის მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ კონფერენცია მოაწესრიგებს მემელის საკითხს.

ლიტვის მთავრობას მიეცემა წინადადება ყოველგვარი საშუალება მიმართოს, რათა აიძულოს მემელის ლიტოველები დემოკრატიულ საგანგებო საკავშირო კომისიის ავტორიტეტს.

მოზილიზაცია პოლონეთში
რომი 18 იანვარი. პოლონეთის მთავრობამ გასცა ბრძანება 15 წლიანების მოზილიზაციის შესახებ.

საკავშირო ფლოტი
ზორდო. 17 იანვარი. მემელიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იქ ჩავიდა ინგლისის კრისტი და პოლონეთის სახმედრო გემი „კომენდანიტი პილსდსკი“ დღეს მივიღიან კიდევ 3 საკავშირო გემის ჩასვლას.

რუის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების მოქმედება
მოსკოვი. 18 იან. გრძელდება საფრანგეთის ჯარების შემდეგი წინსვლა გერმანიის საზღვრების შიგნით განზრახულია მიუნსტერის ოკუპაცია. ლონდონში დიდ მნიშვნელობას აძლევენ დორტმუნდის ოკუპაციას რომელიც წარმოადგენს სტინესის მთავარ შტაბს.

ფრანგების მუქარა
მოსკოვი. 18 იან. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა იტყობინება, რომ გერმანიის მრეწველებს ემზავთ ფრანგებისადმი დათმობის სურვილი, რათა არ დაჰკარგონ მთელი მათი კეთილდღეობა. საფრანგეთის გენერალმა სიმონმა განაცხადა, რომ თუ შემდეგში შხტების პარტიონები გამოიჩენენ წინააღმდეგობას, ფრანგები ჩამოართმევენ კრუპის და სხვა ფირმების ქონებას.

გერმანიის ბირჟაზე
მოსკოვი. 18 იან. გერმანიის ბირჟაზე კვლავ პანიკა სუფევს, რუის წარმოებათა აქციები იყიდება დაქვემდებარებაში.

ნახშირის რეკვიზიცია
მოსკოვი. 18 იან. საფრანგეთის მთავრობამ გასცა ბრძანება რუის ოლქში ნახშირის რეკვიზიციის შესახებ. გერმანიის მრეწველებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მოაწოდონ ნახშირი, თუ გააუქმებენ განკარგულებას რეკვიზიციის შესახებ.

გენერალ ფოვის განცხადება.
ნაუენი. იანვ. 18. ლონდონის ვაზეთების ცნობით საფრანგეთის პასუხისმგებელ წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებას რუიში მოეღოს ვაცილებით მეტი და სერიოზული დაბრკოლებანი, ვიდრე ამას მოელოდნენ გენერალმა ფოვმა სთქვა: „რუი ჩვენ დაგვკავებს უფრო მეტად ვიდრე ჩვენ რუის დავაკავებთ“.

საკონტრაბუნდო კომისიის მოქმედება.
ნაუენი. იანვ. 18. შტეტინში საზოგადოებრივ სკოლების დირექტორმა უარი განაცხადა ინტერების საკავშიროთა შორის საკონტრაბუნდო კომისიის დაშვებაზე სკოლების დასათავსიერებად და განაცხადა, რომ ეს დათავსიერება არ შედის ინტერების კომისიის კომპეტენციაში.

ინგლისელების მონაწილეობა.
ნაუენი. იანვ. 18. საფრანგეთის საკავშირო პალატის თავმჯდომარემ გერიტტმა აცნობა პუანკარეს, რომ 10 ინგლისელი ინტერები თავისი სურვილით შევიდნენ სამსახურში რუის ოლქში.

წითელი პროფკავშირები.
ზორდო. 18 იანვ. ვაზ. ტაიმისის ცნობით რუის სამთამდრო, მუშები რომელნიც მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან ინგლისელ სამთამადლო მუშებთან უარს იტყვიან ზედმეტ საშუალოზე რომელსაც საფრანგეთი. მოითხოვს იმის

ახალი აზრები

ჯამაიკებზე ოცი პროც. მომატება. აღმასკომის პრეზიდენტის დადგენილებით, ვრცელდება ოცი პროც. მომატება ინდივიდუალურ ტარიფებზე დეკემბრისათვის.

ახალი მწერლობის კავშირი. კვირას, 21 იანვარს, ხელფასების სასახლეში (სტრ. ქ. 13) გაიმართება სრულყოფილი საქართველოს ახალი მწერლობის მორიგი საჯარო სხდომა. გრ. რობაქიძე წიკითხავს მოხსენებას: „გოეტეს აპერტუკეა“ დასაწყისი სალ. 7 ს. შესასვლად 30 ათასი მან.

საპნის მრეწ. საქართველოში ამ ეამად საქართველოში საპნის ქარხნები არსებობს— „ტოლუ“, „ურომასი“, ყოფილი ხოშტარის ქარხანა, კოჩიევის ბუჯისა და ერობის. ეს ქარხ. დიდ სამსახურს გაუწევნენ მთელ რუსკებ. მცხოვრებთ. წარმოებითი ძალა ამ ქარხნებში აღის 200,000 ფუთი საპნის გაკეთებით წელიწადში, ყველაზე კარგად მოწყობილი არის ქარხნები: „ტოლუ“ და „ურომასი“ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით ამ ქარხნებში ყოველ წელიწად (1921—22 წ.) მზადდება საპნი 35-40 ათას ფუთამდე. საქართველოში საპნის კეთდება საქონლის ქონისაგან, მაშინ როდესაც საზღვარ გარე საპნის ხდია სხვა და სხვა ევროპურ მეცნიარებისაგან, რითაც საპნის ხარისხი ძლიერ მდარე გამოდის. ტუალეტის (საპნის მრეწველობა) საპნი ჩვენში მზადდება „ხოშტარის“ და „ტოლუს“ ქარხნებში საპნი იხდება საუკეთესო მასალისაგან და თქმის არაფრით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთის საუკეთესო ხარისხის ტუალეტის საპნის.

მიწა-ტყის კავშირი. მიწა-ტყის პროფკავშირი ამ ეამად მუშაობს კოლექტიურ ხელშეკრულების დასადგენად ვინაიდან ყველა დაწესებულებასთან საინფორმაციო ვადა გაუთავდა. კავშირი გადის საქონლის მანეთის კურსზე. კავშირმა თავისი ბოსტანი, რომელიც ქონდა მიხეილის პრესს. გადასცა მიწათმოქმედების კომისარიატს და მოახდინა მისი სრული ლიკვიდაცია. ამ თვეში კავშირი ანთავრებს თავის წევრთა ვაჭმელს დას და რეგისტრაციას. დეკემბრის დანერვის განმავლობაში მიწა-ტყის კავშირი ატარებდა როგორც ტვილისის ისე პროვინციაში პრეზიდენტის წევრების საშუალებით სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მეშუეთ ყრილობის რეზოლუციების პოპულარიზაციას. კავშირმა პროვინციის ყველა დაწესებულ ბებში დაარსა საურთიერთო დამხმარე კასა, რომელიც უკვე შეუდგა მოქმედებას.

მეტყვეთა კავშირი. მეტყვეთა კავშირმა ვასულ თვის დეკემბრის განმავლობაში წერაკითხვის უკონდინატო სკოლაში (ავლაბარში) შეწყვეტილი სწავლა (მასწავლებლის ვასელის გამო) ისევ

გვარი შიპოტეტური ელემენტი მისგან გამორიცხული უნდა იქნეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: სახელმძღვანელოს ავტორი იმდენად ვატიკანული სახელმძღვანელოში, მიღებული მეთოდით, რომ სხეულთა საზოგადო თვისებათა წინასწარი განხილვით არ იწყება ბუნების შესწავლა, ავტორის აზრით ეს მეთოდური მოთხოვნების საწინააღმდეგო მოვლენა იქნებოდა და ამბობს წიგნის წინასიტყვაობაში, რომ „სხეულთა საზოგადო თვისებანი უნდა შევიწყლოთ როგორც სინთეზი მათი კერძო თვისებებისა. ამიტომ საზოგადო თვისებები ცალკე სხეულთა შესწავლის დროს გზა და გზა იჩნება და ბოლოშია მიქცეული როგორც დასკვნა ბუნების სხეულთა შესწავლისა“.

პრინციპილური წინააღმდეგობა არ შეიძლება გვექნოდეს ამ დებულების წინააღმდეგ, მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ წინასწარი აღებული მეთოდი იმდენად აბსოლუტურადმდე შეიძლება არ მივიყვანოთ, რომ ბუნების შესწავლით ელემენტარული ცნობები (თუ გნებავთ შიპოტეტურიც რომ იყოს) სრულიად გამოვიციხოთ სახელმძღვანელოდან, იმ დროს როდესაც მოწაფეს უახლოესი კავშირი აქვს ამ ელემენტებთან და მარად ეამს მისგან დამოკიდებულებაში იმყოფება.

მეორე, რაც ჩვენის აზრით ნაკლად უნდა ჩათვალოს ავტორის, არის ის რომ ბუნების შესწავლა არც ერთ შემთხვევაში არ იწყება სხეულთა საზოგადო თვისებების განხილვით, პართალია, ინდუქტიური მეთოდი ასე გულისხმობს, მაგრამ ეს, ჩვენის აზრით ეწინააღმდეგება სასკოლო პედაგოგიურ და თუ გნებავთ დიდაქტიურ პრინციპს იმ მხრივ, რომ ეს პრინციპი მოითხოვს სხეულთა და საგანთა ზოგადი თვისებების შესწავლიდან—კონკრეტული თვისებების შესწავლაზე გადასვლას და არა წინააღმდეგობა, როგორც თქვობს ავტორი.

არაინ ისეთი საბუნებისმეტყველო ელემენტები, რომელთა შესწავლაც პატარა მოწაფეთათვის (შრომის სკოლაში) უნდა იწყებოდეს დედუქციით და თავდებოდეს ინდუქციით. ჩვენელების სახელმძღვანელოში კი ყველაფერ ერთ-გვარობა და ცალკე რაც ჩვენის აზრით ნაწილობრივ ელემენტარული პედაგოგიურ-მეთოდური პრინციპს.

რაც შეეხება ილიუსტრაციას და საერთო დასურათებას, რასაც განუზომელი მნიშვნელობა ეძლევა „ბუნების“ სახელმძღვანელოში, ჩვენელების წიგნში ძალიან მოისუსტება.

არც ერთი საილიუსტრაციო სურათი ცდინა—ექსპერიმენტისა, თავისი სახეობით არ არის დამაკმაყოფილებელი. რაც დიდ დეფექტად უნდა ჩათვალოს გამოცემულ ორგანოს. არც ქალაქი აქმაყოფილებს საერთო მოთხოვნებს.

დასასრულს, სანამ აღინიშნულ სახელმძღვანელოს სეით იაშვილის „ბუნების მეტყველებას“ შევადარებდეთ ჩვენ გვაინტერესებს ერთი საკითხი. ჩვენელების „ბუნებას“ აწერია მეხუთე გამოცემა, როდესაც ჩვენ მისი მესამე და მეოთხე გამოცემა არ გვინახავს. შეიძლება კონკრეტულ შეცდომად ჩავთვალოთ წიგნის ყდაზე დაწერილი „მეხუთე გამოცემა...“ მაგრამ ძალიან გავგვიკვირდა, როდესაც გადავხედავთ და შიგნით შევხედით „მეხუთე გამოცემის“ წინასიტყვაობაში. რატომ დასკვირდა სახელმწიფო გამომცემლობას და ავტორს, თვალეები ახვია მასწავლებელთათვის და სურდათ მესამე გამოცემა მეხუთე გამოცემად გაესაღებიათ.

სახელმძღვანელო წიგნს პოპულიარობა უნდა მოუპოვოს არა უმართებულო გამოცემათა სიმრავლემ, არამედ მდიდარმა და მეთოდურის თვალსაზრისით მისაღებმა შინაარსმა.

სეით იაშვილის სახელმძღვანელო „ბუნების მეტყველება“ ნაწილი პირველი (პაერი, წყალი და დედამიწა) გამოვიდა მეექვსედ შეესებული და შესწორებული სახით. ბანი იაშვილი პირველია, რომელმაც გაეროვნებული სკოლის პირველ ხანებშივე ქართულ სკოლებს მიაწოდა ქართულ ენაზე შემდგარი ბუნების მეტყველების სახელმძღვანელო.

მას მრავალი მუშაობა დასკვირდა თუნდაც მარტო ტერმინოლოგიის შედგენისათვის. რაც მანამდე ქართულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ძალიან მცირე, ან სრულეებით არ არსებობდა. და ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვის მას.

ბ-ნმა ჩვენელებს სეით იაშვილისაგან მრავალჯერ ისეხსნა ტერმინები იმ სახით, როგორც იაშვილი ამ უკანასკნელს ჰქონდა იგი შემოწმებული. ტერმინების გარდა მრავალი ფორმულის განმარტება იმავე ფორმით აქვს გადმოცემული ჩვენელებს, როგორც იაშვილი გარდამოცემა რამდენიმე ხნის წინათ იაშვილმა.

მეთოდის მხრივ სეით იაშვილის სახელმძღვანელოში არ არის სასტიკად დაცული რომელიმე მეთოდი, თუმცა უმთავრესად ინდუქტიური მეთოდით სარგებლობს ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი ამ გზას უხვევს და მიმართავს იმ ზომებს, რომელიც უფრო გამართლებულია პედაგოგიურად.

ამის გარდა სეით იაშვილის წიგნის უპირატესობა ა. ჩვენელების წიგნთან იმაში მდგომარეობს, რომ აქ განხილულია ყველა ის მასალა, რომელიც „შიპოტეტური“ მიაჩნია უკანასკნელს და სახელმძღვანელოდან რიცხავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საგნებთან უახლოესი კავშირი აქვს მოწაფეს და ყველაზე უფრო იგი აინტერესებს მას.

იაშვილის სახელმძღვანელოში, ზოგი მასალის შესწავლის დროს ხდება სინთეზი ინდუქტიური და დედუქტიური მეთოდისა და მასასადამე იგი სინთეტიური ხდება. ჩვენის გაგებით ეს აუცილებლად მისაღებია.

ილიუსტრაცია, რომელსაც როგორც აღვნიშნეთ ესოდენი მნიშვნელობა ეძლე-

ვა ბუნების მეტყველების სახელმძღვანელოში, სეითის წიგნში სრულიად დამაკმაყოფილებელია (მეექვსე გამოცემა).

ქალაქი და შრიფტი უკანასკნელისა, აუცილებლად სჯობია პირველისა.

ასეთსავე შეფარდებაში შეიძლება დავასაბუთოთ სახელმძღვანელოს ენაც მასალის გაფართოება ა. ჩვენელებს უფრო ემჩნევა, თუმცა თავის ასოც და ათ გვერდიან წიგნში ამბობს იმას, რასაც იაშვილი 80 გვერდში.

ცხადია, სასიამოვნოდ უნდა ჩათვალოს ა. ჩვენელების წიგნის გამოცემა, მაგრამ ს. იაშვილის წიგნი ჯერ კიდევ საგრძნობ წინააღმდეგობას გაუწევს მას.

სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ უკეთესი იქნებოდა ისეთი წიგნი გამოცემა, რომლისაც უფრო მეტ მოთხოვნილება წიგნის ბაზარზე და ჩვენის სკოლებში.

გ. თ.—ლი.

მუშაკრილი ამაბები

წერილები სოფლიდან

ორი წელიწადია, რაც სოფლად ვცხოვრობ (ლალისყურში). სოფელში ორმოც კომლამდე მცხოვრებია: თვლი ფიზიკად მიპირავს, ყველაფერს ვაკვირდები, ვსწავლობ, გულში ვინერგავ. ვხედავ, რომ ხალხი უსაქმოდ დიდის, დროს უფრო კეთილგონივრად ატარებს ლალისყურის საყდრების უქმეებში. შევამჩნიე ეს მეტადრე ალდგომის წინა და შემდეგ დღეებში. გამიკვირდა, ვაგვიცი, ვსთქვა: „ღარიბი იქნება მა რა ჩვენი ხალხი! საქმეს, საქმეს ვერ ვხედავ მე მთავან, რადემაც უნდა მისცეს მათ ქონება და სიმდიდრე?!“ კალობა ხომ საუკეთესო ნიშნავა ხალხის დოვლათიანობისა: ვუყურებ, სამოთხ დღეში ვაღწევა ყველამ თავისი შრომის ნაყოფი და შორა, მოცალიერდა კალობები... ასე იყო 1921 წელს.

სულ სხვას ვხედავ 1922 წელს. ლალისყურელებს ვეღარა ვცნობ. საღლა უსაქმობა და ქვივები, დროს ვატარებანი თავის თუ მზობელ სოფლებში? ხომ ვაგვიცი თუ არა არის ელიაობა? წელს ერთი კაციც არ ასულა იმ მთავან, სადაც დღევანდლამდე დაცულია წმინდა ელიას საყდრის ნაშთი, მაშინ, როდესაც შარშან, 1921 წელს, თითქმის მთელი სოფელი იყო იქ და ისეთი დაღუპული დაბრუნდა ზოგი, რომ თავს ფეხზე ვეღარ იკავებდა და იქცეოდა...

მაშ რას აკეთებდა ხალხი, იკითხავს მკითხველი? რასა და მუშაობდა, ხნავდა, სთესავდა, სთხონდა, რწყავდა, მკიდა, ლეწვავდა!.. ისე კი არა, როგორც შარშან, რომ სამოთხ დღეში მოწმინდეს!

კალობები, არამედ ლეწვადნენ დაულალავდ მთელს თვეს და ძლივს ვათავებ...

სად ვეძებოთ თავი მიზნი ხალხის ასე მცირე ხანში თითქმის სრულიად გარდაქმნისა, გამოცელისა?!

ჩამოვთვლი ზოგიერთ მთავანს. პირველი: მართალია სოფელი შორს არის დედა-ქალაქიდან, მაგრამ მისი ნალარის (მწერლობის) ხმა მიანიც აღწევს მასაც. ეს ნალარა კი ყველამ ვიცით საითკენ მიუწოდებდა ხალხს!..

ეს ერთი. მეორე: საღლა ჩვილი ნიწის უქონლობაზე: ოღონდ გამოუხიზლდი, გაისარჯე და მიწა რამდენიც გინდა...

მესამე: წაითხვა უქმე დღეებში წიგნებიდან: „შოთარანთ ქვრივისა“, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ გიორგი თორმეტ დღიურს სთესავდა... „სოკრატის ფილოსოფიისა ცხოვრებაზე“, სადაც სასტიკად არის დამოხილი უსაქმობა და შრომა კი აღიარებულია უფროდ ვალად ყოველი ადამიანისად და სხვა.

მეოთხე: ლექციები, წაითხული თვით ჩემ მიერ ფშავლის სკოლის შენობაში: „ღვინო-არყით დათრობის მავნებლობა“; „დამაბალი ციბე-ცხელების რაობაზე და წამლობაზე“; ფრანგი ნოელის აზრი საოჯახო-სამეურნეო ამხანაგობებში მამულის დამუშავებაზე“; „ღრმა თუ ზერეულე ხენა-თესვაზე“; „გზის ვასხვლაზე ჩვენებურად და მეცნიერულად“ და სხვა...

ივანე როსტომაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

აბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი ვაჭეთის საშუალებით განვახადო შემდეგი: ტფილისის საბჭოს არჩენების დროს, აღმწენებელთა კავშირში საარჩენოდ მოწვეულ საერთო კრებაზე (პროფესიონალურ კავშირის დიდ დარბაზში) მოვითხოვე სიტყვა. პრეზიდიუმმა კრებას შეეკითხა მომცემოდა თუ არა სიტყვა ქართულ ენაზე. კრებამ ასეთი წინადადება უარყო, რის გამო სიტყვის თქმის საშუალება წამერთო.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა თვით ფაქტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ ენაზედ სიტყვის წარმოთქმა საკითხად დასამელოდ გამხდარა.

ამ ფაქტს აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენტრალურ საარჩენო კომისიამ მას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და ამით დაიცოს ქართული ენის სახელმწიფოებრიობა ზოგიერთ ელემენტთა „მოღვეწობისაგან“.

პატ. სიმ. კვიციანი.

ქართველ გავგაღიანთა სულიერი ვითარება

ნაწილი მე-3 (გაგრძელება*)

საკითხი მე-106. ვინმე ჭირის მიერ თავისი სასიკვდილო სენის ეამს, თვისი რაიმე ქონების დავეკვის შემდეგ, თვისი ორი მემკვიდრე რომ დასტოვოს და გარდაიცვალოს და მიცვალებულის ქონების მესამედიც ვეკვის დამაკმაყოფილებელი, რომ აღარ დარჩეს, და მემკვიდრეთაგან ერთიც რომ იყოს დამადსტურებული სხენებული ვეკვისა და მეორეც თავის დასტურის გამოცხადებამდე, რომ გარდაიცვალოს და მესამედ ქონებაზე ზედმეტი თავისი წილის მემკვიდრეობაც, პირველი დასტურის გამოცხადებულ მემკვიდრეზე, რომ გადადიოდეს, მემკვიდრეობითი მიღებული ამ წილისაც დავეკვის სისწორეც, თანამობისა და დასტურის გამოცხადებელი მემკვიდრის მიერ ამ წილშიც კვლავ თანხმობისა და დასტურის გამოცხადებაზე არის დამოკიდებული. ვინაიდან წინანდელი გამოცხადებული თანხმობა და დასტური არაა საკმარისი.

საკითხი მე-107. მხოლოდ თავის მე-

ვულე-დიასახლისის გარდა, სხვა მემკვიდრეს არა მყოლე ვინმე პირმა, თავისი სასიკვდილო სენის ეამს, მთელი მისი ქონება რეგისტრაციაში ვატარებოთ, რომ დავეკვის და მისი გარდაცვალების შემდეგ მისი მეულლე-დიასახლისის მიერაც, სხენებული ქონების დავეკვა რომ იყოს დადასტურებული და თანხმობა გამოცხადებული, მაშინ კი მიცვალებულის მთელი ქონება დაივყვება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დავეკვული ქონების მეექვსედი მიეკუთვნება მიცვალებულის მეულლე-დიასახლისის და დანარჩენი ქონება კი ჩიორცხება ვეკვად.

საკითხი მე-108. მხოლოდ თავის მეულლე დიასახლისის გარდა სხვა მემკვიდრეს არა მყოლე ვინმე დიასახლისმა, მთელი მისი ქონება რეგისტრაციაში ვატარებოთ რომ დავეკვის და რომ გარდაიცვალოს, და ამვე დროს მისმა მემკვიდრე მამასახლისმაც სხენებული ვეკვი რომ დადასტუროს. მაშინ მიცვალებულის მთელი ქონება იქნება დავეკ-

ვული. წინააღმდეგ შემთხვევაში ქონების მესამედს მიიღებს მისი მეულლე მამასახლისი და დანარჩენი ქონება კი დაივყვება.

საკითხი მე-109. გარდასული სენი, ჯანმრთელობის მცენებისა.

ამასთან ერთად ვინმე პირი სნეულეების დროს თვისი ზოგიერთ ქონების რეგისტრაციაში ვატარებოთ რომ იცხოვრებს და თან სნეულობაც რომ გადაუღის და კარგახანსაც ჯანმრთელობით რომ იცხოვრებს და მეორე რომ გარდაიცვალება, შემდეგ მემკვიდრეებს არა აქვთ უფლება რომ ილაფონ ეს ქონება მხოლოდ მისი სნეულების დროს არის დავეკვული და ქონების მესამედზე მეტის დავეკვას არ ვიცნობთ.

საკითხი მე-110. წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში მოუქარებელი სენი, სანამ სნეული მდგომარეობაში ცვლილებას არ მოახდენს, მანამდე კი ჯანმრთელობის მცენებაში, ამას მიხედვით წელიწადზე გასული დროის განმავლობაში, რომელიმე მოუქარებელი სენით შეპყრობილი ვინმე პირმა, თავის მდგომარეობაში მოსახდენ ცვლილებაზე აღრე, ზოგი ქონება რეგისტრაციაში ვატარებოთ რომ დავეკვოს და რამდენიმე დღის შემდეგ მდგომარეობა შეეცვალოს, სენი გაუძლიერდეს და შემდეგ ივეკვი მხოლოდ მთელი თავისი ქონებიდან იქნება სწორი, და არა მესამედი ქონებიდან.

ამ სახით დავეკვული ქონების წინააღმდეგ მემკვიდრეები ვერ წავლენ: ქონების მესამედზე მეტის დავეკვას არ მივიღებთ.

საკითხი მე-111. ვინმე პირმა თავისი სასიკვდილო სენის ეამს, თავის რაიმე რაიმე ქონება, რომ დავეკვოს და გარდაიცვალოს მისი, თავის მემკვიდრეთაგან რომელიმე ერთს სიცოცხლეში და მემკვიდრეს სიკვდილის შემდეგ დამეკვავი, რომ გარდაიცვალოს და დავეკვული ქონების მესამედიც თუ არის ვეკვის დამაკმაყოფილებელი, ვეკვისა, ვეკვი სწორია და კანონიერი.

ამ სახით თუ სხვა მემკვიდრეებიც იქნებიან თანახმა და დამადასტურებელი ვეკვისა, მაშინ ვეკვის სარგებელს დავეკვება მხოლოდ ვეკვის შენაპირი მემკვიდრე.

და თუ თანხმობა და დასტური არ იქნა სხვა მემკვიდრეების მიერ გამოცხადებული, მაშინ ვეკვის სარგებელი, მარტო შენაპირი მემკვიდრე კი არა, არამედ მის სიცოცხლეში-მასთან ერთად დანარჩენი მემკვიდრეებიც, როგორც მათი სამკვიდრო საკითხი ისე ისარგებლებენ.

ვეკვის სარგებელს სარგებლობის შენაპირ მემკვიდრეს სიცოცხლეში, სხვა მემკვიდრეთაგან ვინმე რომ ცოცხალიც ვაღაღის მის წამოქარაზე წინააღმდეგის შენაპირი მემკვიდრეს გარდაცვალების შემდეგ სარგებელი ვეკვისა სხვა პირი საქველო მხარის სასარგებლოდ. რის შემდეგაც დანარჩენი მემკვიდრეებს ესპობათ უფლება სარგებლობისა.

მაგრამ ამავე დროს ვინმე პირმა, თავისი სასიკვდილო სენის ეამს, თავის რაიმე ქონება რომ დავეკვოს და სარგებელი ვეკვისა მემკვიდრეების ზოგს რომ შეუპიროს და ვეკვის შენაპირად სხვა რაიმე საქველო მხარე რომ არ აღინიშნოს და ასე ამ გვარად სხვა დანარჩენი მემკვიდრეებაც სხენებული ქონების დავეკვოს რომ გამოაცხადონ, და ქონების მესამედიც, ვეკვის დამაკმაყოფილებელიც რომ არ დარჩეს, ვეკვი იქნება ბათილი, ხოლო ქონება შეტანილი იქნება მემკვიდრეთა სამკვიდრო სანაწილეში.

საკითხი მე-112. ვინმე პირმა თავის რომელიმე ეყარი, ქონება, მესჯიდათ (მეჩეთად) გარდაქმნისათვის თავის სასიკვდილო სენის ეამს რომ დავეკვოს მესამედი არაა დამაკმაყოფილებელი ვეკვისა და, აგრედვე მემკვიდრეებიც მესამედზე მეტის დავეკვას თუ არაქმნებიან თანახმა, სხენებული ქონების მთელსა და მესამედისაც დავეკვა დაღუგვებელი არის და თანაც ბათილი.

საკითხი მე-113. რაიმე ქონების დავეკვა ჯანმთელობისა და აღრიცხვაში ვატარებოთ კი სასიკვდილო სენის ეამს რომ მოხდეს, მიღებული იქნება მხოლოდ ვეკვის გარდაცვალება და არა აღრცელება.

ამასთან ერთად ვინმე პირმა ჯანმრთელობისა, თვისი რაიმე ქონება, აღრიცხვაში ვატარებულად დავეკვოს და შემდეგ კი სხენებული ვეკვის თავისი სასიკვდილო სენის ეამს, აღრიცხვა რომ უყოს და ისე ერთ გარდაიცვალოს, სხენებული ვეკვი, მიცვალებულის მხოლოდ მთელი ქონებიდან იქნება დაშვებული და მიღებული და არა მესამედი ქონებიდან. ამის მიხედვით დამეკვვის მემკვიდრეები ვეღარ იდავებენ: „ვინაიდან აღრიცხვა ვეკვისა მოხდა სასიკვდილო სენის ეამს მესამედი კი შეიძლება დაივყავს და ქონების მესამედზე მეტის დავეკვას არ მივიღებთ“.

მემედ აბაშიძე.

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია გამომცემელი—მთავარი კომენტარი.

მუშაკრებაში მყოფნი: ილია მაღაქიას ძე მარუაშვილი და სოფიო მიხეილის ასული შავგულიძისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ პირველის მეუღლის და მეორეს დის

ელენა მიხაილის ასულის მარუაშვილის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კუკის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში კვირას 21 იანვარს

1-1

სამსართველო კოლხე-რასტიული ბ' ნაი

თანახმად გამგეობის დადგენილებისა ამა წლის 14 იანვრის თარიღით ამით აცნობებს საკოაპერაცია და საზოგადო დაწესებულებებს, რომ იმ შემთხვევაში თუ წარსული წლის ვადაგასულ დავალიანებას საგსებით გადაიხდიან ამა თვის 31-მდე ბანკი

იანგარიშებს ოქროს გურსის მხოლოდ 33 1/3 %-ს.

1 თებერვლიდან კი კლიენტებს გადახდებათ ოქროს გურსის მთელი 100 პროცენტი.

273 3-2

დოკუმორი გ. მებრაგი წაი

„უ. ახისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებში“ ფილტვების—ქლქი და გულის ავადმყოფობისა. წამლობა და სურათის გადაღება სხივებით. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35